

შპს მედინიუსი (ს/ნ 412718769)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
(მსს ფასს სტანდარტები) მიხედვით

მედინიუსი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები:	5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ანგარიშგება ხორციელდება ერთეულ ლარებში

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფული და ფულის ეკვივალენტები	62,844	121,119
სავაჭრო მოთხოვნები	783,541	637,180
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,305,889	1,238,489
სულ მიმდინარე აქტივები	2,152,274	1,996,788
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
ძირითადი საშუალებები	504,614	1,301
სულ გრძელვადიანი აქტივები	504,614	1,301
სულ აქტივები	2,656,888	1,998,089
ვალდებულებები და კაპიტალი		
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>		
სავაჭრო ვალდებულებები	197,754	392,425
საგადასახადო ვალდებულებები	39,339	2,341
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	237,093	394,766
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	697,406	204,776
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	697,406	204,776
<i>საკუთარი კაპიტალი</i>		
შპს კაპიტალი	3,500	290,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,718,889	1,108,547
სულ კაპიტალი	1,722,389	1,398,547
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	2,656,888	1,998,089

შპს მედინიუსის დირექტორი

რაჟდენ ფაიტიანც

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ანგარიშგება ხორციელდება ერთეულ ლარებში

2018 წელი

ლარი

ამონაგები	3,517,685
საქონლის გაყიდვიდან	3,517,685
მომსახურების გაწევიდან	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2,659,584
საწყისი მარაგები	-1,238,489
მარაგების შესყიდვა	-2,726,984
საბოლოო მარაგები	1,305,889
საერთო მოგება	858,101
სულ საოპერაციო ხარჯები	-247,759
დასაქმებულთა ანაზღაურება	-46,575
ცვეთა და ამორტიზაცია	-302
საპროცენტო ხარჯი	-41,754
იჯარის ხარჯი	-26,400
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-132,728
საოპერაციო მოგება	610,342
მოგება/ზარალი	610,342

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,398,547
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	610,342
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-286,500
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,722,389

შპს მედინიუსის დირექტორი

რაჟდენ ფაიტიანც

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) შპს მედინიუსი რეგისტრირებულია 2016 წლის 17 ივნისს. მარეგისტრირებელი ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ბ) საწარმოს იურიდიული მისამართია - საქართველო, ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. N83; ფაქტობრივი მისამართია - საქართველო, ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. N83;

გ) საწარმოს საკონტაქტო მონაცემები - rajdeni@inbox.ru; ტელ: 599364522.

დ) საწარმოს საქმიანობის ძირითად სახეს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით ; ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი - 46460.

ე) საწარმოს არ წარმოადგენს მშობელ საწარმოს და ასევე არ გააჩნია შვილობილი საწარმო.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს ბანკში.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ნაწილობრივ ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით, რომელიც შეიცავს მარაგების შეძენის და ტრანსპორტირების ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს.

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

ბანკის სესხები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

სულ ხარჯები

ხარჯებს შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საოპერაციო ხარჯები (დასაქმებულთა ხელფასი, ცვეთა, საპროცენტო ხარჯები და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები).

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად. საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

შპს მედინიუსი

შპს მედინიუსის დირექტორი: რაქელ ჭაიჭაძე /რ.ჭაიჭაძე/